ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1070967

ნომერი: AR1184415

თარიღი : 14.12.2013

გაცემის თარიღი : 08.01.2014

გაცნობის თარიღი : 09.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გიორგობიანი პ/ნ 01017000104
- ი.ჭავჭავაძის II ჩიხი N 8 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 13 მაისის #681628 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 14 დეკემბერს #AR1184415 განცხადებით მომართეს შპს

„ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ“–ის დირექტორმა დავით გიორგობიანმა და შპს „ბოსფორ - სტროი ჯორჯია“–ს დირექტორის მურათ ავჯის წარმომადგენელმა მახარე მახარობლიშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2013 წლის 13 მაისის #681628 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2013 წლის 13 მაისის #681628 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–კრწანისი), გორგასალის ქ. #9–ში, შპს "მარინა ბიჩ ქლაბ ბათუმი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლიდ მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 17 მაისიდან – 2015 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლოებრივ აქტში ცვლილება შევიდა სამსახურის 12.09.2013 წლის #893116 ბრძანებით და დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“.

განმცხადებელები უთითებენ, რომ შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმეტი“ ახდენს მის ბალანსზე რიცხული მთლიანი აქტივების მიყიდვას შპს „ბოსფორ-სტროი ჯორჯია“-სთვის და ითხოვენ სამსახურის 2013 წლის 13 მაისის #681628 ბრძანებაში დამკვეთად შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“–ს ნაცვლად შპს „ბოსფორ-სტროი ჯორჯია“-ს დაფიქსირებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის – შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“–ს დირექტორი თანხმობას აცხადებს სამსახურის 2013 წლის 13 მაისის #681628 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცახდებელთა მოთხოვნა და დამკვეთად მიუთითოს შპს „ბოსფორ-სტროი ჯორჯია“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 მაისის #681628 ბრძანებაში და დამკვეთად მიეთითოს შპს „ბოსფორ-სტროი ჯორჯია“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 მაისის #681628 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.